საწყობის ოპერირება	
პროგრამის ტიპი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
დონე: IV	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში	
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება	
პროგრამის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანია, საწყობებისთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება გუნდური მუშაობა; სასაწყობო დოკუმენტაციის წაკითხვა და შევსება; საქონელის საწყობში მიღება; საქონელის დასაწყობება; საქონელის გაცემა საწყობიდან; საქონელის აღრიცხვა საწყობში და ნაშთების კონტროლი; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ორგანიზება და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.	
პროგრამის სწავლის შედეგები: • აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები; • სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები; • მიიღოს საქონელი საწყობში; • საქონლის ტრანსპორტირება საწყობში; • დაასაწყობოს საქონელი; • ააგროვოს საქონელი; • გასცეს საქონელი საწყობიდან; საქონელი საწყობში.	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 90 კრედიტს	*არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 120 კრედიტს*
სწავლის ხანგრძლივობა	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 17 თვეს	*არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 22 თვეს*
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება დასაქმდეს: ტერმინალებში, საბაჟო, კომერციულ, საერთო სარგებლობის, საავტომობილო, საკონტეინერო, საპორტო, სარკინიგზო, საჰაერო, სუპერმარკეტისა და მაცივარ-საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოს თანამშრომლის, საწყობის ოპერატორის ან ტვირთის ამწონის თანამდებობაზე.	

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით, 7 პროფესიულ მოდულს 81 კრედიტის მოცულობით და ქართული ენის მოდულებს 30 კრედიტის მოცულობით.

მოდულის, ქართული ენა A2, B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს საქართველოში მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ქართული ენა A_2	15
2	ქართული ენა B_1	15
3	უცხოური ენა (ინგლისური)	3
4	ინფორმაციული წიგნიერება	2
5	მეწარმეობა	4
6	საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები	6
7	სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები	6
8	საქონლის მიღება საწყობში	12
9	საწყობში საქონლის ტრანსპორტირება	9
10	საქონლის დასაწყობება	9
11	საქონლის აგროვება	14
12	საწყობიდან საქონლის გაცემა	12
	ჯამში	120

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა:

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში. საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელების ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. №68; VI სართული, 652 აუდიტორია.
პრაქტიკის კომპონენტი: ქ.თბილისი, შპს ,,გორგია“ შპს ,,გაკო ტერმინალი“; შპს ,,ავტობანი“

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის გზით. სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის არსებობს სხვადა სხვა ტიპის რესურსი.

საგანმანათლებლო მხარდაჭერა დამოკიდებულია პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სასწავლო პროცესისა და რესურსის მორგება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მხარდაჭერა;
- სასწავლო პროცესის ასისტენტის მხარდაჭერა;
- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- სხვა საჭირო რესურსისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგ-შეხვედრები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ღონისძიებ(ებ)ის მოწყობა;
- ინფორმაციული ბუკლეტებისა და ბროშურების შექმნა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და ა.შ.
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საკონტაქტო პირი:
ნათია ბუთხუზი
e-mail n.butkhuzi@gtu.ge
ტელეფონი 593263112

პროგრამაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირ(ებ)ი:
მაია ფრიდონიშვილი
pridonishvili.m@gtu.ge
557278970
ლელა
გერგეშელიძე
l.gergeshelidze@gtu.ge
599270682